FORMULAS OF CURSES CONTAINING DEMONOLOGICAL, HOUSEHOLD AND CULTURAL-HISTORICAL CONTENT IN THE LIFE OF THE POPULATION OF AJARA

საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ისტორიული შენაარსის შემცველი წყევლა-კრულვის ფორმულები აჭარის მოსახლეობის ყოფაში

TAMAZ PUTKARADZE
Professor of Batumi Shota Rustaveli State University, Department of history, archeology and ethnology
32/35 Ninoshvili str. Batumi, Georgia
ORCID: 0000-0003-0866-2474
tamaz.futkaradze@bsu.edu.ge
577179723

Abstract. Curses are verbal formulas that contain the desire to harm an unwanted person. It belongs to the genre of oral language and is used to show an opponent, an enemy, an evil person. Certain curse formulas are related to animistic beliefs, and some are based on household or contain cultural-historical content.

Cursing also had a prophylactic-preventive character. One of its goals was to prevent harmful actions, destroy and destroy evil, protect against demonic forces, evil spirits, witches.

Cursing and swearing are evidenced in the existence of many people of the world. Naturally, it was not a stranger to the Georgian reality either. Cursing formulas were and are widespread in South-West Georgia, especially in Ajara.

Ajara is a very interesting historical-ethnographic region in Georgia, in which both the general ethnic nature of existence and local peculiarities are clearly visible. This specificity is manifested in the formulas based on the belief in the magical power of the word, in the forms of attitude towards the person and the event. It is significant that no one has made this issue a subject of research. Accordingly, there are almost no data on this issue in the scientific literature (if we do not take folklore into account). Therefore, we mainly rely on the field materials we have collected in the villages of Ajara mountains as well as Imerkhevi.

The field data proves that people have preserved the magic formulas of relief from positive and negative emotions, "throwing out the whip", "heart thresher", which have widely gained a place in modern life and have become one of the necessary attributes of people's self-determination.

Key words: Curse; Curling; swearing; tradition; being; culture;

თამაზ ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი
საქართველო, ბათუმი,ნინოშვილის ქ.32/35
ORCID: 0000-0003-0866-2474
tamaz.futkaradze@bsu.edu.ge
577179723

აბსტრაქტი. **წყევლა** წარმოადგენს სიტყვიერი ფორმულებს, რომლებიც შეიცავენ არასასურველი პიროვნების მიმართ ზიანის მიყენების სურვილს. იგი განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების ჟანრს და გამოიყენება მოწინააღმდეგის, მტრის, ბოროტი ადამიანის შესაჩვენებლად. წყევლის ცალკეული ფორმულები დაკავშირებულია ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებთან, ზოგიერთები კი საყოფაცხოვრებო ნიადაგზეა შექმნილი ამ შეიცავს კულტურულ-ისტორიულ შინაარსს.

წყევლა-კრულვა პროფილაქტიკურ-პრევენციულ ხასიათსაც ატარებდა. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო აღეკვეთა მავნე ქმედებები, მოესპო და გადაეშენებინა ბოროტება, გაეუვნებელეყო დემონური ძალები, ავი სულები, ჯადოქრები.

წყევლა-კრულვა და გინება მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში დასტურდება. ბუნებრივია, იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვისაც. წყევლა-კრულვის ფორმულები ფართოდ იყო და არის გავრცელებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში.

აჭარა მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია საქართველოსი, რომელშიც ნათლად ჩანს ყოფის როგორც ზოგადეთნიკური ბუნება, ისე ლოკალური თავისებურებანი. ეს სპეციფიკა ვლინდება სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ფორმულებში, პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ფორმებში. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საკითხი დღემდე არავის გაუხდია კვლევის საგნად. **აღნიშნული ფაქტორი რამდენადმე განსაზღვრავს კვლევის აქტუალობასაც.** სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ მონაცემები თითქმის არ გვხვდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფოლკლორს).

საველე მონაცემებით დასტურდება, რომ ხალხმა დღემდე შემოინახა დადებითი და უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვის, ,,ჯავრის ამოყრის", ,,გულის მოფხანის" მაგიური ფორმულები, რომლებმაც ფართოდ დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე ყოფაში და იქცნენ ადამიანთა თვითდამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად.

საკვანძო სიტყვები: წყევლა; კრულვა; ტრადიცია; ყოფა; კულტურა;

***

შესავალი. მოწინააღმდეგის, არასასურველი პიროვნებისადმი ემოციური დამოკიდებულების გამოსახატავად **გამოიყენება სიტყვიერი ფორმულები, რომელსაც საქართველოში წყევლას ეძახიან. იგი თავისთავში გულისხმობს შენთვის მიუღებელი, არასასურველი პიროვნებისათვის ზიანის მიყენების სურვილს. წყევლა//დარისხვა//დაკრულვა, როგორც** ზეპირსიტყვიერების ჟანრი **განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ ფოლკლორში**

და გამოიყენება მოწინააღმდეგის, მტრის, ბოროტი ადამიანის შესაჩვენებლად. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით წყევლა არის დამოკიდებულების ემოციურად გამოხატვის ფორმა, როცა წყევლის ობიექტს უსურვებენ სიკვდილს, უბედურებას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბ. 1990).

მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, საველე კვლევა - ძიების, გიორგი ჩიტაიას მიერ შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური და უშუალო დაკვირვების მეთოდები.

შედეგები. ჩვენს მიერ მოძიებული საველე მასალების შესწავლის და ანალიზის შედეგად სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებსა თუ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე შექმნილი მაგიური დატვირთვის შემცველი წყევლის ფორმულები, გამოიკვეთა მისი პროფილაქტიკურ-პრევენციული ხასიათი, ტერმინების: ,,წყევლისა“ და ,,შეჩვენების“ აზრობრივი და შინაარსობრივი სხვაობა. კვლევის შედეგების შესახებ საუბრისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს საკითხი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხალხურ სიტყვიერებას.

მსჯელობა. წყევლა -გინება წარმოადგენს სიტყვიერ ფორმულებს, რომლებიც შეიცავენ არასასურველი პიროვნების მიმართ ზიანის მიყენების სურვილს. იგი განეკუთვნება ზეპირსიტყვიერების ჟანრს და გამოიყენება მოწინააღმდეგის, მტრის, ბოროტი ადამიანის შესაჩვენებლად.

წყევლა-კრულვას საქართველოში **დარისხვას, დაკრულვასაც** უწოდებენ. ზოგან იგი **შეჩვენების** სახელითაც მოიხსენიება (პირი ხისკენ მიქნია...2006:3; ასევე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბ. 1990), ვფიქრობთ, რომ ამ ტერმინებს შორის არის აზრობრივი და შინაარსობრივი სხვაობა. შეჩვენება (ბერძნ. ანათემა) ეკლესიიდან, ქრისტიანული თემიდან მოკვეთას გულისხმობს. მონანიების შემთხვევაში საეკლესიო კრებას შეუძლია მოუხსნას ეს სასჯელი. ამდენად, ტერმინი ,,შეჩვენება“ უფრო ახალი უნდა იყოს, ვიდრე წყევლა (კრულვა, დაკრულვა), რომელიც უფრო სიტყვიერად წარმოთქმული მსჯავრია, რათა მასზე განხორციელდეს ღვთის სასჯელი. რელიგიური თვალსაზრისით წყევლა ითვლება ქრისტიანული ზნეობის საწინააღმდეგო მოვლენად (,,წყევლა მაწყევარისაა“).

წყევლა-კრულვა პროფილაქტიკურ-პრევენციულ ხასიათსაც ატარებდა. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო აღეკვეთა მავნე ქმედებები, მოესპო და გადაეშენებინა ბოროტება, გაეუვნებელეყო დემონური ძალები, ავი სულები, ჯადოქრები.

წყევლის ცალკეული ფორმულები დაკავშირებულია ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებთან, ზოგიერთები კი საყოფაცხოვრებო ნიადაგზეა შექმნილი და შეიცავს კულტურულ-ისტორიულ შინაარსს.

წყევლა-კრულვა მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში დასტურდება. ბუნებრივია, იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვისაც. წყევლა-კრულვის ფორმულები ფართოდ იყო და არის გავრცელებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში.

აჭარა მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია საქართველოსი, რომელშიც ნათლად ჩანს ყოფის როგორც ზოგადეთნიკური ბუნება, ისე ლოკალური თავისებურებანი. ეს სპეციფიკა ვლინდება სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ფორმულებში, პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ფორმებში.

საველე მონაცემებით დასტურდება, რომ ხალხმა დღემდე შემოინახა დადებითი და უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვის, ,,ჯავრის ამოყრის“, ,,გულის მოფხანის“ **მაგიური**

ფორმულები. პრაქტიკულად იგი არის გამიზნული დარტყმა ადამიანზე, გარკვეული ნეგატიური ენერგიების ერთობლიობ ით. ბევრს სჯერა, რომ წყევლა არ წარმოადგენს უბრალო სიტყვას, რომელიც ჰაერში გაიფანტება. იგი შეიძლება ახდეს და ზიანი მიაყენოს წყევლის ობიექტს. წყევლა-კრულვის ფორმულებმა, როგორც პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ემოციური გამოხატვის ფორმებმა ფართოდ დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე ყოფაში და იქცნენ ადამიანთა თვითდამკვიდრების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად.

საზოგადოების განვითარების ადრეულ პერიოდში, წარმართობის ეპოქაში საკმაოდ პოპულარული იყო ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები // რწმენა სულების შესახებ. იმდროინდელ ადამიანებს სწამდათ, რომ არსებობდა კეთილი და ბოროტი სულები. კეთილ სულებს ეთაყვანებოდნენ, ლოცავდნენ, ატარებდნენ მათ გულისმოსაგებ რიტუალებს, ბოროტ სულებს კი წყევლიდნენ (თ. შიოშვილი, პირი ხისკენ მიქნია...თბ. 2006:3), თუმცა ზოგჯერ ეფერებოდნენ კიდეც, რადგან ეშინოდათ, რომ არ გაეღიზიანებინათ ადამიანის სულში ჩაბუდებული ბოროტი სული. ამიტომაც ბატონობით მიმართავდნენ და გამარჯვებასაც უსურვებდნენ მათ. სწორედ ამის გამოხატულება უნდა იყოს ზოგიერთი დაავადების **„ბატონის“** სახელით მოხსენიება, საკუთრივ: **ხველა ბატონები, წითელა ბატონები** და ა. შ. **რამდენიმე სახელის დარქმევის ტრადიცია,** რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის კულტურაში დღემდეა შემორჩენილი, სწორედ ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების გამოხატულება უნდა იყოს. ერთ პიროვნებაზე **ორი ან მეტი სახელის დარქმევით** ადამიანები ცდილობდნენ გზა-კვალი აერიათ ბოროტი სულებისათვის, რათა ვერ მიეგნო კონკრეტული პიროვნება. ჩინელები ბავშვს შეურაცხმყოფელ, სალანძღავ სახელსაც არქმევდნენ (მაგ. ძაღლი), რადგან სწამდათ, რომ ამ გზით ისინი ბავშვს დაიცავდნენ ბოროტი სულების სადიზმისაგან, დემონებისაგან. სწორედ მათ, ბოროტ სულებს აჩვენებდნენ ამით, რომ ისინი თითქოსდა არ წუხან ბავშვის ბედზე. ბოროტი სულებისაგან დაცვის მიზნით ხდებოდა აგრეთვე **ბავშვის გადაცემა სხვა ოჯახისათვის.** ფსევდოადაპტაციის ეს სახე ჩინელებში **„გოფანის“** სახელითაა ცნობილი. იგი პრევენციულ ხასიათისა იყო. ესაა ბოროტი სულებისაგან ბავშვის დაცვის რწმენა. მშობელი ბავშვს განარიდებს ბოროტ სულებს. აღნიშნილი ქმედებით მშობელი დემონურ ძალებს აჩვენებს, რომ მისთვის თითქოსდა სულერთია ბავშვის მომავალი ბედი. მსგავს ჩვეულებას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი **„გაძიძავების“** სახით. **არ გამოვრიცხავთ, რომ გაძიძავების ჩვეულებაც ბავშვის ბოროტი სულებისაგან დაცვას ისახავდა მიზნად.**

ჩვენის აზრით ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება **მისალმების ტრადიციაც.** მისალმებით ვცდილობთ ბოროტი სულების გულის მოგებას, რათა დავიცვათ ადამიანი მისი მავნე შედეგისაგან.

წყევლა-კრულვა ქრონოლოგიურად კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის პერიოდებთან უნდა იყოს დაკავშირებული. „ბიბლიაში“ არაერთხელ გვხვდება წყევლის მაგალითები, განსაკუთრებით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიერ. წყევლას ვხვდებით „ბიბლიაში“ მაშინ, როცა ანგელოზმა მოიწადინა ღმერთთან გათანაბრება. ღმერთმა დაწყევლა ანგელოზი და ციდან უფრსკულში ჩამოაგდო. აკრძალული ხილთან დაკავშირებული ტაბუს დარღვევის გამო ღმერთმა დაწყევლა აგრეთვე გველი, ევა, ადამი და ისინი გააძევა სამოთხიდან. ღმერთმა დაწყევლა ასევე კაენი მისი ძმის - აბელის მკვლელობის გამო. ნოემ დაწყევლა მისი შვილი ქამი მამის დაცინვის გამო და ა. შ. ახალ აღთქმაში წყევლა იშვიათადაა, თუმცა მაინც გვხდება. მაგ. უფალი იესო ქრისტე წყევლის ლეღვის უნაყოფო ხეს, რომელიც მეყსეულად გახმა (მათე 21, 18-22). ხალხურ ყოფაში არსებობს აგრეთვე წყევლის და გინების

საწინააღმდეგო რიტუალის ტრადიციებიც (Chauran, Alexandra (2013). *Have You Been Hexed? Recognizing and Breaking Curses*. Llewellyn Worldwide)

წყევლა-კრულვის ფორმულები ყველაზე მეტად შემოგვინახა ხალხურმა სიტყვიერებამ. ქართულ ფოლკლორში: ზღაპრებში, თქმულებებში, ხალხურ პოეზიაში. წყევლა-კრულვის ფორმულები გვხვდება აგრეთვე უძველეს სიგელ-გუჯარებში, იურიდიულ დოკუმენტებში და ა. შ.

უმთავრესად გვხვდება წყევლა-კრულვის სამი სახე: დემონოლოგიური, საყოფაცხოვრებო და კულტურულ-ისტორიული (პირი ხისკენ მიქნია..., 2006:4).

მორწმუნე ადამიანს ყოველთვის ჰქონდა შიში და გარკვეული რიდი მაგიური ძალებისადმი. შესაბამისად განსაკუთრებით ეშინოდათ ჯადოქრების წყევლისა. მათ სჯეროდათ, რომ ჯადოქარი თავის წყევლას ინახავდა შავი დღისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევაში წყევლას ამისამართებდა მისთვის მიუღებელი პიროვნების მიმართ. ხალხის რწმენით ჯადოქარს შეუძლია კავშირი დაამყაროს ზებუნებრივ ძალასთან, რისი დახმარებითაც ის შეძლებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეს.

ზეპირი გადმოცემებით შემონახული წყევლა ძირითადად საყოფაცხოვრებო ხასიათს ატარებდა, წერილობითი ფორმით გამოხატული წყევლა კი ხალხის რწმენით გადადიოდა შთამომავლობაზე (პირი ხისკენ მიქნია..., 2006:3).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია ერთი მეტად საინტერესო თქმულება - ,,სიძე-რძალი". თქმულების მიხედვით იზალელას თავისი ქალი მიუთხოვებია გვანცალელას შვილისათვის. დანიშნულა ქორწილი. მაყრებს გზად შეგვიანებიათ. განრისხებული სადედამთილო წამდაუწუმ გზას გაჰყურებდა და თან საქმიანობდა. ამასობაში ბუხარში კეცი წამოქცეულა და გვანცალელას ხელი დაუწვავს. განრისხებულ სადედამთილოს სარძლო ფეხმარცხიანად მიუჩნევია და რძალი დაუწყევლია: ,,ღმერთმა გაგაქვავა იქ, საცა ხარო". სადედამთილოს დავიწყებია, რომ სარძლო მის შვილთან წილნაყარი იყო და წყევლა საბედისწეროდ ახდენია. თქმულების მიხედვით ღმერთს სიძე-რძალი მაყრიონიანად გაუქვავებია. მას შემდეგ იმ მთას ,,სიძე-რძალი შერქმევიაო", მოგვითხრობს თქმულება (თ. ფუტკარაძე, საველე ექსპედიციის დღიური, ხიხაძირი, 2005 წლის ივლისი). ხალხურ რწმენას გვანცალელას წყევლით ქვადგადაქცეული ეს ცოდვიანი ადგილი ეშმაკისეულად მიუჩნევიათ.

საყოფაცხოვრებო ხასიათის წყევლა-კრულვის ნიმუშები მრავლადაა წარმოდგენილი პეტრე უმიკაშვილის ,,ხალხურ სიტყვიერებაში". ჩვენთვის საინტერესო ნიმუში პ. უმიკაშვილს ლექსის სახით აქვს წარმოდგენილი:

,,ფლავსა ერთსა პატარძალსა, ფაფა გაუკეთებია
ფიალები და თეფშები, სულ ერთიან დაემალა,
ისა კი ვეღარ დავწყევლე, ხელში ეჭირა პატარა,
ათაშანგი შეეყაროს, რომ ვეღარ დაწვეს ქმართანა"

(პეტრე უმიკაშვილი,1964:584).

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, პატარძალი ვერ დაუწყევლია იმის გამო, რომ ხელში პატარა ბავშვი სჭერია. ბებოს ვერ გაუმეტებია ბავშვის დაწყევლა, რძალი კი ადვილად გაუმეტებია და დაუწყევლია: ,,ათაშანგი შეგეყაროსო". წყევლის მსგავს ფორმულებს იყენებდნენ ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევაშიც.

პეტრე უმიკაშვილთან გვხვდება წყევლის სხვა ფორმულებიც:

,,სახლში მშობიარე გყავდეს,
კარზე მევალე გადგესო“ (პეტრე უმიკაშვილი,1964:296)

ან კიდევ:

,,მენახოს შენი სასახლე, ორპირ ნაგები ჩალითა
მოგკიდებოდეს გარს ცეცხლი, მეყურებინოს თვალითაო“
(პეტრე უმიკაშვილი, 1964:296)

ოჯახის ძირის ამოძირკვას, გადაშენებას უკავშირდება წყევლის უამრავი ფორმულა. ასეთი სახის წყევლას იყენებენ იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც დიდი ცოდვები აქვთ ჩადენილი. ჭვანის ხეობაში დღემდე იხსენებენ დემურალ მსახურაძეს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა თანასოფლელთა და თანამოძმეთა რეპრესიებში (1930-იანი წლები). მას დახმარება გაუწევია ლავრენტი ბერიასათვის, რომელიც მთიანი აჭარის 1929 წლის აჯანყების ჩასახშობად ასულა ჭვანაში. იგი ბოსელში დაუმწყვდევიათ. გაუბედურებულ ოჯახებს დემურალ მსახურაძე რადიკალური წყევლის ფორმულებით (ამოწყვეტა, გადაშენება) დაუწყევლიათ. მართლაც, დემურალ მსახურაძე გარდაიცვალა ორი ათეული წლის წინ და მოესწრო საკუთარი ოჯახის გაუბედურებას, დაეღუპა შვილები, ბოლოს თავადაც დაბრმავდა და გადრაიცვალა.

ხალხის რწმენით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მამის წყევლას. იგი ზედმიწევნით ასრულდება. მამის ნების დარღვევა მიიჩნევა დიდ ცოდვად და შესაძლოა დაწყევლის მიზეზიც გახდეს. ამიტომ შვილმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მამას თავი არ დააწყევლინოს.

ოჯახის ამოძირკვას, გადაშენებას უკავშირდება წყევლის ფართოდ გავრცელებული შემდეგი სახის დაკრულვა:

,,კიდობანში პური არ გქონდეს, სახლში გიწვეთოდესო“
,,ჭირს წაუღია შენი ოჯახი“
,, ჭირმა ამოწყვიტა შენი ოჯახი“
,,ჭინჭარი ამოსულიყოს შენს ეზო-კარში“ (კერაზე, ნასახლერზე)
,,გაგწყვიტა ღმერთმა“
,,ღვარმა წაგიღოს“
,,კუბოში ჩაგაწვინოს ღმერთმა შენ და შენი ოჯახი“
,,მჭადი მოგანატროს ღმერთმა“
,,ფუტი არ ამოსულიყოს შენს საკვამურში“
(თ. ფუტკატრაძე, 2005 წლის ივლისი)

წყევლა-დაკრულვის მაგიური ძალის ზემოქმედების გასაძლიერებლად მაწყევარი თითქმის ყოველთვის ღმერთს იშველიებდა. მაგალითად:

,,ღმერთმა არ გაგზარდა“
,,ღმერთმა გამოგწყვიტა“
,,გაგანადგურა ღმერთმა“
,,გაგცვითა ღმერთმა“
,,გადაგბარგა ღმერთმა“
,,სახლში არ მოგიყვანა ღმერთმა“
,,გაგაქარვა ღმერთმა“
,,დაგაქორა (დაგაბრმავა) ღმერთმა“
,,დარდი და ვარამი ნუ მოგაკლო ღმერთმა“
,,ფარა-ფარჩად გაქცია ღმერთმა“

,,ნეხვი გაზელია ღმერთმა“
,,ჯეჰენნები არ აგაშორა ღმერთმა“
,,ჩემს ხანზე არ მოგიყვანა ღმერთმა“
,,ღმერთმა დაგწვა ცეცხლში“
,,ღმერთმა გაგსხლიპა“
,,ღმერთმა გაგცვითა“
,,ჩენგე დიგიყაფანა ღმერთმა“
“შავი ლეჩაქით დაგაბერა ღმერთმა” (ე.ი. ცხოვრებაში სულ
გამწარებული გატარა ღმერთმა);
,,გელებმა შეგჭამონ ღმერთმა“;
,,ანტრად გაქციოს ღმერთმა“
,,ციციელი დაგეცეს ღმერთმა“
,,არ გაღირსა რამე ღმერთმა“
,,ჰარამი გიყოს ღმერთმა ჩემი ეილუგი“
,,შავი დღე გიგითენოს ღმერთმა“
,,სახლში მისვლა არ გაღირსოს ღმერთმა“
,,ფესვი ამოგიგდოს ღმერთმა“
ჩემს ხანზე არ მოგაწევიოს ღმერთმა“ და მრავალი სხვა.
(თ. ფუტკატრაძე, 2005-2006 წწ. ივლისი)

ღმერთის, როგორც ყოვლისშემძლე არსების მოშველიება დიდ გავლენას ახდენდა წყევლის ობიექტზე. ხალხის რწმენით განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა სიკვდილის წინ დანატოვარ წყევლას, რომელიც აუცილებლად ახდებოდა.

მოვლენისა თუ პიროვნების მიმართ დამოკიდებულების ემოციური გამოხატვის თვალსაზრისით წყევლა ზოგჯერ გამოითქმებოდა ლოცვის დადებითი ფორმის სახით:

,,ღმერთმა ადრე გაგაფაქოს“ (გაგათხოვოს)
,,ღმერთმა ჭკუა მოგცეს“
,,არ გასაწყვეტელო“
,,გასაზრდელო“
,,გახარებული დაგაბერა ღმერთმა“
(თ. ფუტკატრაძე, 2005-2006 წწ. ივლისი)

აღნიშნული ფორმულები ძირითადად გამოითქმებოდა გაბრაზებული დედის ან ბებიის მიერ ოჯახის წევრის, განსაკუთრებით ბავშვების მიმართ. ხალხის რწმენით მშობლების, განსაკუთრებით დედის ლოცვას თუ წყევლას აქვს მაგიური ძალა. იგი აღწევს ღმერთამდე. ლოცვით შეუძლია დედამ შვილებს უსაზღვრო ბედნიერება მიანიჭოს, წყევლით კი უბედურება დაატეხოს თავს. გაბრაზებული დედა ზოგჯერ იმეტებდა შვილს დასაწყევლად, მაგრამ როცა დამშვიდდებოდა, იტყოდა: ,,შვილო, მე რომ გწყევლი, ძუძუები გლოცავენო“. ხშირად დედა შვილს ვერ იმეტებდა დასაწყევლად, ასეთ შემთხვევაში იტყოდა: ,,ანაი (დედა) მოგიკვდეს შვილოო“. ეს იყო წყევლის ყველაზე რადიკალური ფორმა. არც თუ ისე იშვითად დედა ლოცვის სახით წარმოთქვამდა თავის ემოციურ დამოკიდებულებას. ამიტომაც იტყოდნენ: ,,ხელიდან არ გაუშვა ანას დალოცვაო“.

დიდხანს სიცოცხლის სურვილი გამოიხატება ლოცვის შემდეგი ფორმულის სახით:

“თეთრი ლეჩაქით დაგაბერა”,
“თეთრი წვერით დაგაბერა”

ჭირვეული და პრეტენზიული მოზარდის მიმართ დედაკაცის ემოცია გამოიხატება შემდეგი ფორმებითაც:

"დედო ჭია იგიწრიალდა მეცელში",
"არ გაგაძღო ღმერთმა";
"ფუშზე გნახე გატკლეცილი" და ა.შ.

ღმერთის მოშველიება ეფექტური იყო ლოცვის დროსაც:

"აგაშენა ღმერთმა";
"ენა იგიყვავოს ღმერთმა";
,,ხელები იგიყვავოს ღმერთმა"
"შენი გამზრდელი მშობელი გაახაროს ღმერთმა";
"გაჭირვება არ მოქცეს ღმერთმა";
"ღმერთმა შეგიფაროს" და ა.შ.

(თ. ფუტკარაძე, 2005-2006 წწ. ივლისი)

უკუღმართი პიროვნების მიმართ დამოკიდებულება ზოგჯერ ლიბერალური, წყევლის ობიექტისათვის მისაღები და არაგამაღიზიანებელი ფორმითაც გამოიხატებოდა:

"ღმერთმა გაარჩიოს შენი უკუღმართობა"
,,ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს"

წყევლის ასეთ ფორმულებს პირობითად **კეთილშობილური წყევლა** შეიძლება ვუწოდოთ. ზოგჯერ ადამიანი დაუმსახურებელი წყევლის ობიექტიც გამხდარა. ხალხს სჯერა, რომ ასეთ შემთხვევაში წყევლა მაწყევარისაა და თუ კი მას მიიღებ მშვიდად, სიჩუმითა და სიკეთით, დაიმსახურებ უდიდეს მადლს.

"არამკითხე", "უხეირო" და ბოროტ ადამიანებს გულმოსული დედაკაცი შემდეგნაირად მიმართავს:

"შენ დეგეგქცა კერია"
,,არ მეესწარი არაფერს",
,,რავა ყველაფერში ნისკარტს ყოფ";
"შენ თვალდაბრეცილო, თვალბრუტიანო, ღმერთმა დაგწყევლოს, შეგაჩვენოს"
"გაგისკდა მიწა და გაიარე ქვესკნელი";
"არ დაინახე ცის სინათლე",
"ილანჯეხმა (ეშმაკი) მოგტეხა კისერი",
"არ აგცილდა სიავე და ფათერაკი შენს სიცოცხლეში",
"არ გაგახარა გამჩენმა",
"შენი ჭიჭვი ამოვარდა, უმისოდ გადაშენდი",
"შენი საფესველებელი არ გეიშვა და შენსას ფუტი არ დეინახოს კაცმა";
"შენ ჩაყევი ჩამავალ მზეს და არ ამოყევი ამომავალს";
"ყარაყალა შენს ხახაში" (ყარაყალა – ინფექციური დაავადებაა);
"შენი კუბო დავდგი";
"კუბოში ჩაგაწვინა ღმერთმა".
,,ცეცხლდაცემულო"
,,ალავდაცემულო"
,, იეჰუდის შვილო" (იუდეველის, ებრაელის შვილო)
,,ღორის გაგდებულო"

,,ხინზირის შვილო“ (იმერხეულში **ხინზირი** სალანძღავ სიტყვას
წარმოადგენს: . „ხინზირ ფინთ. ინსან, კაც ვეტყვით“
(თ. ფუტკარაძე, 2005-2006 წწ. ივლისი)

წყევლა-კრულვის დროს ფიგურირებს **მიწა და წყალი:**

“მიწის შეჭმულო”
“მიწა არ გაღირსა ღმერთმა”,
“მიწამ ამოგიყოროს პირი”,
“მიწამ ამოგიყოროს ფაშვი”,
“მიწამ არ მიგიღოს”,
“მიწამ გახრას შენი ძვალი”,
“წყალმა წაგიღოს”,
“წყალმა ჩამოგიაროს”,
“წყალში დამხჩვარი მენახე.”
,,წყალ-ღვარმა წაგიღოს“ და სხვა
(თ. ფუტკატრაძე, 2005-2006 წწ. ივლისი)

წყლით დაწყევლა დადებითი ფორმით - ლოცვითაც გამოიხატებოდა. მაგალითად:

“წყაროს წყალივით წინ წამოგიყვანა ღმერთმა“
,,წყლის ძალა მოგცა ღმერთმა” და ა.შ.

განსაკუთრებელი ტრაგიზმით აღიქმებოდა მორწმუნესათვის წვერთან დაკავშირებული წყევლა:

“წვერი გაგიცვინა ღმერთმა”;
,,უწვეროდ გადაგაშენა ღმერთმა“ და ა. შ.

წვერი მორწმენეთათვის რელიგიური სიმბოლო იყო. იგი საკრალური ფუნქციითაა დატვირთული. წვერისადმი ასეთი დამოკიდებულება სხვა ხალხებშიც დასტურდება. ისტორიამ შემოგვინახა იერუსალიმის მეფე ბალდუინთან დაკავშირებული თქმულება: იერუსალიმის მეფე ბალდუინს ცოლად შეურთავს მდიდარი სომეხი ქალი მართა. აღმოსავლეთში წვერს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ეს იცოდა ეშმაკმა ბალდუინმა და სიმამრისათვის ფული რომ გამოეცანცლა, თავისი წვერი დაუგირავებია. სიმამრი გაოცებულა სიძის ასეთი საქციელის გამო, მიუცია დიდძალი ფული და უთხოვია, რომ წვერი მეორედ აღარ დაეგირავებინა. აღნიშნული ლეგენდა მიანიშნებს წვერის მნიშვნელობაზე აღმოსავლურ სამყაროში. ასეთივე დატვირთვისაა ხალხურ პოეზიაში დამკვიდრებული პოეტური ფორმულა: “ვინც არ გეიცინოს, გაცვინდეს წვერი”.

წყევლის მაგიური ძალის გამოხატვის თვალსაზრისით მეტად საინტერესო გადმოცემას გვაწვდის თ. სახოკია. თქმულების შინაარსი ასეთია: შუაზე გაპობილი ფაჩხმატის კლდის ერთი ნაწილი დღედღეზე ძირს ჩამოსაქცევად ემზადებოდა, მაგრამ ხალხის ფანტაზიამ ეს კლდე აამეტყველა. ხალხის გასაფრთხილებლად კლდე იძახდა: “მოვდივარ, მოვდივარ”. “ერთხელ კი მის ძირას ერთ დედაკაცს სარეცხი სდგმია, მოესმა კლდის ძახილი “მოვდივარ, მოვდივარო”, მთელი დღის განმავლობაში იმდენი იძახა, რომ დედაკაცს, მოთმინების ფიალა აღევსო და დასწყევლა – რა თავს იგდებ! ყურთა სმენა კი წაიღე! სულ იძახი “მოვდივარო” და ბარემ ჩამოიქეციო. კლდემ იწყინა დედაკაცის შეუპოვრობა, ერთბაშად მოსკვდა და დედაკაციც ქვეშ დაიტანა. ეს დედაკაცი დღესაც ამ კლდის ქვეშ არისო”, გადმოგვცემს თქმულების შინაარსს თედო სახოკია.

ხევში დღემდეა შემონახული წყევლის ასეთი ფორმაც: “შენ ნამუსახდილო, ცხენის ძუაზე გადასაწყვეტო, ვირზე უკუღმა შესაჯდომო”. უნამუსო ქალს უწინ ვირზე უკუღმა შესვამდნენ

და ასე გამოისტუმრებდნენ მამის სახლში. წყევლის ზემოთდასახელებული ფორმულაც ამ მოვლენას უკავშირდება. მაწყევარი და მაგინებელი ადამიანის მიმართ ხალხის დამოკიდებულება ძირითადად უარყოფითია. ზოგჯერ მათ ურწმუნო "გიაურების" სახელითაც მოიხსენიებენ.

წყელვა-კრულვა არის ცოცხალი, ვირულენტური ორგანიზმი, რომელშიც ასახვას პოულობს როგორც ისტორიულ ძნელბედობა, ისე დღევანდელობის თანამდევი პრობლემები. წყევლის თემად იქცევა ხოლმე ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. საყოველთაოდ ცნობილია 1990-იანი წლების უშუქობა, სიცივე, ბიუჯეტის სეკვესტრები, პენსიების გაუცემლობა და ა. შ. სწორედ მაშინ გაჩნდა ამა თუ **იმ პოლიტიკოსის თანადროული წყევლის ფორმულები:**

,,ღმერთმა გაგყინა შევარდნაძის პენსიასავით";
,,ღმერთმა ისე ჩააბნელა შენი კერია, როგორც შევარდნაძის დროს";
"გაგყინა და გაგფიჩხა ედიკას პენსიასავით";
,,შევარდნაძის ჩაი დაგალევია ღმერთმა";
,,შავარდნაძე, შენს შთამომავალს არ გაეთბოს ლოგინი უგრელკოდ"
,,ცხრა ლარიან პენზიაზე მეტი არ მოგცა ღმერთმა";
"სოროსს გადაგაყოლა ღმერთმა";
"სოროსივით შეგაძულა ჩვენი ქვეყანა ღმერთმა"
,,აიფონი არ გაღირსა ღმერთმა" და ა. შ. (თ. ფუტკატრაძე, საველე ექსპედიციის დღიური, 2005 წლის ივლის-აგვისტო)

წყევლა-კრულვაში აისახა ასლან აბაშიძის მმართველობასთან დაკავშირებული მოვლენებიც. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებას შორის. ძალაუფლების შენარჩუნების წყურვილით რეგიონალური მმართველი ასლან აბაშიძე ხალხს ე.წ. საზღვრის ,,დასაცავად" ჩოლოქზე მიერეკებოდა. გაჩნდა შესაბამისი წყევლის ფორმულებიც:

"ჩოლოქზე მანახა შენი თავი ღმერთმა",
"შენი შვილი მანახა ღმერთმა ჩოლოქზე",
,,ჩოლოქის ხიდის ქვეშ მოგაყოლა ღმერთმა" და ა. შ.
(თ. ფუტკატრაძე, 2005 წლის ივლის-აგვისტო)

ა. აბაშიძის მოსკოვში წასვლის შემდეგ ბათუმში დარჩა მისი ძაღლი ,,ბასმაჩა". ხალხმა მარტოდ დარჩენილი ბასმაჩა წყევლის ფორმულად გამოიყენა:

"შენი ძაღლი აყმუვლდა ასლანას ბასმაჩასავით",
,,ბასმაჩავავით აგაყმუვლა ღმერთმა"
,,ბასმაჩასავით დაგაობლა ღმერთმა"
,,ბასმაჩასავით მარტოდ დაგტია ღმერთმა"
,,ასლანასავით მოგანატრა სამშობლო ღმერთმა"და ა. შ.
(თ. ფუტკატრაძე, 2005 წლის ივლის-აგვისტო)

თანადროულობა აისახა დალოცვის ფორმებშიც:

,,ღმერთმა ისე გაგახარა, როგორც სააკაშვილს უხაროდა მეთიუ ბრაიზას დანახვა" (თ. ფუტკატრაძე, 2005 წლის ივლის-აგვისტო)

ადამიანის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატება ლექსის ფორმითაც. საველე ექსპედიციის დროს ჩავიწერეთ უამრავი მაგალითი, რომელთაგან დავასახელებთ ავყია დედამთილის მიმართ გამოხატულ გრძნობებს:

“ დედამთილი ოდაში
აღარ არის მოდაში
გავახვიე მიტკალში
ძგნაფ და მივეც მიწაში “.

ან კიდევ:

“დედამთილო დიდებულო
კარს უკან ხარ მიგდებული,
დედამთილო აწ და აწო,
თხილის ჯოხი ფრაწ და ფრაწო”.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული საველე მონაცემებისა და ზოგადი ლიტერატურის შესწავლით შევეცადეთ წარმოგვეჩინა ტრადიციული და თანამედროვე წყევლა-კრულვის ნიმუშები, რომლებიც სათავეს იღებს ანიმისტური რწმენა-წარმოდგენებიდან და საჭიროებს შემდგომ კვლევას.

მართლმადიდებელთათვის წყევლა მიუღებელი ელემენტია (მარცხენა ყბაში რომ გაგარტყან, მარჯვენა მიუშვირეო), მაგრამ ხალხმა დღემდე შემოინახა დადებითი თუ უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვის, ,,ჯავრის ამოყრის,” ,,გულის მოფხანის” მაგიური ფორმულები, თუმცა ყოფაში დამკვიდრებული ელემენტები ვეღარ მოიშალა. ამიტომაც დამშვიდებულ-დაწყნარებული დაამატებდა: ,,ქვას ესმოდესო”.

წყევლა-კრულვის სხვადასხვა ფორმები მყარადაა გამჯდარი ხალხის ფსიქოლოგიაში და წარმოადგენს პიროვნებისა და მოვლენის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას. წყევლა-გინების ფორმულებს შელოცვათა მსგავსად აქვს პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება და წარმოადგენს ადამიანის თვითდამკვიდრების ხანიერი გზის ერთერთ აუცილებელ ატრიბუტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

პირი ხისკენ … (2006). პირი ხისკენ მიქნია... ქართული ხალხური წყევლა. კრებული შეადგინა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო თინა შიოშვილმა. თბილისი

სულხან საბა, (1964). ლექსიკონი ქართული, I. თბილისი.

უმიკაშვილი, პეტრე. (1964). ხალხური სიტყვიერება, I. თბილისი.

უნივერსალური... (2006). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი სამ ტომად, შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. თბილისი.

ფურცელაძე, დ. (1964). (ტექსტის გამომცემელი), სამართალი ბატონიშვილის დავითისა. თბილისი.

ფუტკარაძე, თ. (2005). საველე ექსპედიციის დღიური, ხიხაძირი, 2005 წლის ივლისი.
ფუტკატრაძე, თ. (2006). საველე ექსპედიციის დღიური, ხულო, შუახევი, ქობულეთი, იმერხევი 2006 წწ. ივლისი.
ქართული ენის ... (1990). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, თბილისი.

Chauran, Alexandra. (2013). *Have You Been Hexed? Recognizing and Breaking Curses*. Llewellyn Worldwide.

https://www.ambebi.ge/article/180017-ratom-viginebith-modadqceuli-biltssityvaoba-da-thu-mavne-chveva-romelsac-ver-gadavechieth/).

REFERENCES

p'iri khisk'en … (2006). p'iri khisk'en miknia... kartuli khalkhuri ts'qevla. k'rebuli sheadgina, ts'inatkma da shenishvnebi daurto tina shioshvilma. tbilisi

sulkhan saba, (1964). leksik'oni kartuli, I. tbilisi.

umik'ashvili, p'et're. (1964). khalkhuri sit'qviereba, I. tbilisi.

universaluri... (2006). universaluri entsik'lop'ediuri leksik'oni sam t'omad, sheadgina aleksandre elerdashvilma. tbilisi.

purtseladze, d. (1964). (t'ekst'is gamomtsemeli), samartali bat'onishvilis davitisa. tbilisi.

put'k'aradze, t. (2005). savele eksp'editsiis dghiuri, khikhadziri, 2005 ts'lis ivlisi.

put'k'at'radze, t. (2006). savele eksp'editsiis dghiuri, khulo, shuakhevi, kobuleti, imerkhevi 2006 ts'ts'. ivlisi.

kartuli enis ... (1990). kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni, ertt'omeuli, nak'veti meore, tbilisi.

Chauran, Alexandra. (2013). *Have You Been Hexed? Recognizing and Breaking Curses*. Llewellyn Worldwide.

https://www.ambebi.ge/article/180017-ratom-viginebith-modadqceuli-biltssityvaoba-da-thu-mavne-chveva-romelsac-ver-gadavechieth/).